მეგი ბენია

რუსეთის დეზინფორმაცია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების კონტექსტში



რუსეთის დეზინფორმაცია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების კონტექსტში

ავტორი: **მეგი ბენია**

თბილისი

2024

პუბლიკაციის შესახებ

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ ასახავს ან წარმოადგენს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (CSD) ან შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

შინაარსი

შესავალი 1

რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის
მეთოდები და საშუალებები 2

საქართველო *3*

უკრაინა *7*

სირია *9*

რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის
ძირითადი ამოცანები 11

რეკომენდაციები 13

დასკვნა 15

ბიბლიოგრაფია 16

შესავალი

დეზინფორმაციული კამპანიების წარმოება რუსეთის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. ნარატივების შექმნით, გამოგონილი ისტორიების გავრცელებითა და ფაქტებით მანიპულირების გზით რუსეთი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან ცდილობს შეინარჩუნოს გავლენის სფეროები მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში. ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღის (ქბრბ - იგივე მასობრივი განადგურების იარაღი) კონტექსტში გავრცელებული დეზინფორმაცია ამ პოლიტიკის ერთ-ერთ განზომილებას წარმოადგენს.

აღნიშნული მიმართულებით დეზინფორმაციის გავრცელებით რუსეთი ცდილობს, რომ გააჩინოს უნდობლობა დასავლური ინსტიტუტებისა და მათი საქმიანობის მიმართ, განამტკიცოს საკუთარი იმიჯი საერთაშორისო ასპარეზზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, გაამართლოს საკუთარი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა wან ყურადღება გადაიტანოს საკუთარი ქმედებებიდან. კარგად შემუშავებული სტრატეგიის ფარგლებში, რუსეთი ცდილობს ხსენებული ამოცანების მიღწევას ოფიციალური პირების მიერ და უწყებების სახელით გაკეთებული განცხადებების, ხელისუფლებასთან დაკავშირებული მედიასაშუალებების, სხვადასხვა ჯგუფისა და საერთაშორისო მექანიზმების ბოროტად გამოყენების საშუალებით.

მასობრივი განადგურების იარაღის კონტექსტში რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციული კამპანიების უკეთ წარმოსაჩენად, მოცემული სტატია მიმოიხილავს რუსეთის მეთოდებს, საშუალებებსა და ამოცანებს საქართველოს, უკრაინისა და სირიის მაგალითზე. ნაშრომში მოცემულია ინფორმაცია 2009 წლიდან დღემდე ამ ქვეყნებში, ბიოლოგიური

და ქიმიური უსაფრთხოების კუთხით, აშშ-სა და დასავლეთის საქმიანობის წინააღმდეგ რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის შესახებ. ხსენებულ მაგალითებზე დაყრდნობით, სტატია ცდილობს გააანალიზოს რუსეთის მცდელობა, მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ ამოცანებს ქბრბ კონტექსტში გავრცელებული დეზინფორმაციის დახმარებით.

რუსეთის აღნიშნულ ქმედებებთან უკეთ გამკაღვების მიზნით, სტატიაში ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები სამიზნე სახელმწიფოებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობაზე მომუშავე საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციებისთვის. რეკომენდაციების თანახმად, მნიშვნელოვანია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე შემუშავდეს და დაინერგოს ეფექტიანი ინსტიტუციური მიდგომა ამ ტიპის დეზინფორმაციასთან საბრძოლველად.

რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის მეთოდები და საშუალებები

მასობრივი განადგურების იარაღის კონტექსტში რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის მთავარ სამიზნეს წარმოადგენს პოსტსაბჭოთა სივრცისა და მისი უშუალო მეზობელი სახელმწიფოები, სადაც რუსეთს აშკარად სურს , რომ შეინარჩუნოს, გააძლიეროს ან დაამყაროს ძალაუფლება. აღნიშნული კამპანიის წარმართვისთვის რუსეთი იყენებს სამ ძირითად საშუალებას:

1. რუსეთის ოფიციალური პირებისა და უწყებების განცხადებები;
2. რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებული მედიასაშუალებები და ჯგუფები რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ;
3. საერთაშორისო მექანიზმები.

რაც შეეხება რუსეთის მიერ გამოყენებულ მეთოდებს, ისინი შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

1. ნარატივების შექმნა და გავრცელება;
2. გამოგონილი ისტორიების გავრცელება;
3. ფაქტებით მანიპულირება.

როგორც საშუალებები, ასევე მეთოდები, ძირითადად, გამოიყენება ერთობლივად კონკრეტული სამიზნე სუბიექტის წინააღმდეგ და იშვითად ცალ-ცალკე. დეზინფორმაციული კამპანია ყოველთვის ემსახურება კრემლის ამოცანას და ნაწილია მისი ზოგადი სტრატეგიის. დეზინფორმაციის ინტენსივობა კი დამოკიდებულია მოცემულ დროს საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოში მიმდინარე პროცესებზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ წარმოებული კამპანია საკმაოდ ფართომასშტაბიანია, ყველაზე აშკარად მის მიერ გამოყენებული მეთოდები და მაგალითები სამ ქვეყანაში ვლინდება: საქართველო, უკრაინა და სირია.

საქართველო

რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ დეზინფორმაციული კამპანია 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებიდან მალევე დაიწყო. 2011 წელს, ნუნ-ლუგარის პროგრამის ფარგლებში[1], საქართველოში რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი[2] დაარსებიდან რუსული დეზინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა. რუსეთის მთავრობა მას „აშშ-ის ბიოლოგიური იარაღის ლაბორატორიას“ უწოდებს და ქართულ და ამერიკულ მხარეებს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს.

1 საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში სენატორების სემ ნუნისა და რიჩარდ ლუგარის მიერ ინიცირებული აქტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ქბრბ საფრთხეების შემცირებას.

2 აღსანიშნავია, რომ წარმოადგენს უმაღლესი დონის ბიოსამედიცინო და ბიოუსაფრთხოების ცენტრს რეგიონში, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა საქართველოში Covid-19 პანდემიასთან ბრძოლის კუთხით.



ამგვარად, პირველად 2009 წელს, რუსეთის მთავრობასთან დაკავშირებულმა გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა დეზინფორმაციული სტატია, რომლის თანახმადაც, აშშ საქართველოში ამზადებდა ბიოლოგიურ იარაღს. მეტიც, სტატიის ავტორი ამტკიცებდა, რომ საქართველოში დამზადებული მასალა აშშ-ს გადაჰქონდა ირანში (Sudakov, 2009).

როგორც აღვნიშნე, 2011 წელს, ლუგარის ცენტრის ოფიციალური გახსნის შემდეგ, დეზინფორმაციული კამპანია გააქტიურდა. საქართველოში რუსეთთან დაკავშირებულმა მედიასაშუალებებმა აქტიურად დაიწყეს ინფორმაციის გავრცელება, რომ ცენტრი წარმოადგენდა ბიოლოგიური იარაღის დაბორატორიას, ხოლო მისი ლოკაცია სტრატეგიულად იყო შერჩეული თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს, რათა დამზადებული მასალის ტრანსპორტირება მარტივად და შეუფერხებლად მომხდარიყო (Civil Georgia, 2012).

2012 წელს რუსეთი საქართველოსა და ლუგარის ცენტრს ადანაშაულებდა ე.წ. ლორის გრიპის (African Swine Fever virus - ASFV) ხელოვნურად შექმნასა და გავრცელებაში. რუსეთის სანიტარული სამსახურის უფროსმა , გენადი ონიშენკომ განაცხადა, რომ საქართველომ მიზანმიმართულად გაავრცელა ე.წ. ლორის გრიპი რუსეთის სამხრეთით, კრასნოდარისა და სტავროპოლის ოლქებში, ეკონომიკური დივერსიის განხორციელების მიზნით (Civil Georgia 2013).

2013 წელს რუსეთმა განაცხადა, რომ ის აჩერებდა თანამშრომლობას აშშ-სთან 1992 წლიდან არსებულ პროგრამებში, რომლებიც მიზნად ისახავდა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებული საფრთხეების შემცირებას. აღნიშნული გადაწყვეტილების დასასაბუთებლად, რუსულმა მხარემ გამოიყენა აშშ-ის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ბიოლოგიური იარაღის შემუშავებასთან დაკავშირებული აქტივობები. განსაკუთრებული ყურადღება ისევ დაეთმო საქართველოში არსებულ ლუგარის ცენტრს. რუსეთის მხრიდან სხვადასხვა ოფიციალური განცხადებები მიუთითებდა, რომ ცენტრი წარმოადგენდა ამერიკის ბიოლოგიური იარაღის გამოყენებით განხორციელებულ თავდასხმით მძლავრ შესაძლებლობას. ამას დაემატა რუსული ტელეკომპანია „ტვ ცენტრის“ მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ბიოლოგიური ომი რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც დეტალურად აღწერდა ამერიკის, თითქოსდა, უკანონო საქმიანობას ლუგარის ცენტრში და ამტკიცებდა, რომ ის იმართებოდა აშშ-ის ყოფილი დაზვერვის ოფიცრის მიერ (Leitenberg, 2021).

2016 წელს იწყება დეზინფორმაციის ახალი ტალღა ლუგარის ცენტრის წინააღმდეგ, როდესაც გენადი ონიშენკომ (ამ პერიოდისთვის რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ მედვედევის სპეციალური მრჩეველი) ბი-ბი-სის რუსულ სამსახურთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველომ ხელოვნურად გაავრცელა ზიკას ვირუსით დაავადებული კოღოები დროებით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე (Balmforth, 2016). აღნიშნული განცხადების მხარდასაჭერად გავრცელდა, ვითომდა საგანგებოდ მოპოვებული, რუსეთის საგარეო დაზვერვის (SVR) მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერდა იმ გლობალურ სქემას, რომლის თანახმადაც, ზიკას ვირუსი შემუშავებული იყო გლობალური მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და, მეტიც, მათ სათავეში ბილ გეითსი და მის მიერ დაფუძნებული Bill & Melinda Gates Foundation იყო (Leitenberg, 2021).

2018 წლიდან განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ბიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებული რუსული დეზინფორმაცია. გავრცელებული ნარატივების თანახმად, აშშ ატარებს მიზანმიმართულ პოლიტიკას რუსეთის გარშემო ბიოლოგიური იარაღის ლაბორატორიების შესაქმნელად, რომლის ფარგლებშიც საქართველოში არსებული რიჩარდ ლუგარის ცენტრი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია (VOA News, 2017). აღნიშნული დეზინფორმაციის ტალღა გამძაფრდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილმა მინისტრმა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (KGB) ყოფილმა ოფიცერმა, იგორ გიორგაძემ, 2018 წლის 11 სექტემბერს, მოსკოვში გამართა პრესკონფერენცია, სადაც ლუგარის ცენტრი დაადანაშაულა ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარებასა და ბიოლოგიური იარაღის შექმნაში (Петров, 2018). გიორგაძე ამტკიცებდა, რომ მას შეეძლო დოკუმენტების გამოქვეყნება, რომელიც დაადასტურებდა აშშ-ის მიერ ლაბორატორიაში განხორციელებულ უკანონო აქტივობებს, მათ შორის ადამიანებზე ლეტალური ექსპერიმენტების ჩატარების ფაქტებს. ამ განცხადებას მაღლევე მოჰყვა რუსული სამთავრობო მედიის, НТВ-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტი (Соболь, 2018), რომელიც, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ ლუგარის ლაბორატორიაში C ჰეპატიტის წამლის გამოცდა ხდება ადამიანებზე, რის გამოც საქართველო ამ წამალს უფასოდ იღებს, შედეგად კი - საქართველოს არაერთი მოქალაქე გარდაიცვალა. ამ პერიოდში როგორც რუსეთის ოფიციალური უწყებები, ასევე მათთან დაკავშირებული მედიასაშუალებები აქტიურად აქვეყნებდნენ შესაბამის ანგარიშებს მათი ნარატივების გასამყარებლად.

2020 წელს, კორონავირუსის პანდემიის გავრცელებასთან ერთად, ლუგარის ცენტრი კიდევ ერთხელ გახდა რუსული დეზინფორმაციის სამიზნე. 17 აპრილს, რუსეთის საგარეო საქმე-

თა სამინისტროს წარმომადგენელმა, მარია ზახაროვამ განაცხადა (TACC, 2020), რომ აშშ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაარსებულ ლაბორატორიებში აქტიურად მუშაობს სხვადასხვა დაავადებების შექმნასა და მოდიფიცირებაზე, მათ შორის სამხედრო მიზნებისთვის. აღნიშნულ განცხადებაში მან მაგალითად მოიყვანა საქართველოში არსებული ლუგარის ცენტრი, რომელიც, მისი თქმით, ოფიციალურად წარმოადგენს ინფექციური დაავადებების გავრცელების გლობალური კონტროლის აშშ-ის სამხედრო სისტემის ნაწილს. აღნიშნული განცხადების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ კიდევ რამდენიმე განცხადება გაავრცელა ლუგარის ცენტრის წინააღმდეგ. მეტიც, მაგალითად: რუსი ოპოზიციონერის, ალექსეი ნავალნის „ნოვიჩოკით“ მოწამვლის საქმესთან დაკავშირებით რუსეთის დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, იური შვიტკინმა РИА Новости-სთან ინტერვიუში განაცხადა (РИА Новости, 2020), რომ „ნოვიჩოკის“ მსგავსი ქიმიური ნივთიერება მზადდება არა რუსეთში, არამედ საქართველოში, ლუგარის ცენტრში, ამერიკული მხარის მიერ. ამ პერიოდში ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და ლუგარის ცენტრზე განხორციელდა კიბერშეტევა გარეშე აქტორების მხრიდან (შსს, 2020). რამდენიმე დღეში, რუსულ სამთავრობო მედიაში Arms Watch გამოქვეყნდა სტატია, რომელიც შეტევის შედეგად მოპოვებულ თითქოს საიდუმლო მასალაზე წერდა (Gaytandzhieva, 2020). სტატიის თანახმად, აშშ ლუგარის ცენტრის მეშვეობით აქტიურად აწარმოებდა ბიოლოგიური იარაღის პროგრამის განვითარებას და ამაში შესაბამის ფინანსურ რესურსებსაც დებდა. ამასთან, პანდემიის დროს, რუსეთის მთავრობასთან დაკავშირებული მედიასაშუალება რუსეთსა და საქართველოში აქტიურად ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კორონავირუსის ხელოვნურად შექმნასა და გავრცელებაში მონაწილეობდა ლუგარის ცენტრი.

აღსანიშნავია, რომ ამას დაემატა ჩინური მხარის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციაც, რომელიც სარკისებურად იმეორებდა რუსეთის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციულ ნარატივებს აშშ-ის წინააღმდეგ და მათ შორის მოიცავდა ლუგარის ცენტრის საქმიანობასაც (Makszimov, 2020).

უკრაინა

2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ, როცა რუსეთი ხელახლა შეიჭრა უკრაინაში, მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული დეზინფორმაციის ტალღა ამოქმედდა უკრაინის წინააღმდეგ. მეთოდები იგივე იყო, რაც საქართველოში.

2022 წლის 6 მარტს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ მათ მოიპოვეს დოკუმენტები უკრაინის ლაბორატორიებში მომუშავე პერსონალის საშუალებით, რომლის თანახმადაც, უკრაინაში შეჭრის პირველივე დღეს მოხდა საფრთხის შემცველი პათოგენების[3] განადგურება, რათა დაემალათ აშშ-ის მიერ გატარებული აქტივობების კვალი. სამინისტროს პრესსპიკერის, იგორ კონაშენკოვის თქმით, დოკუმენტები ადასტურებდა, რომ ბიოლოგიური იარაღის კომპონენტების დამზადება ხდებოდა უკრაინის ლაბორატორიებში რუსეთის საზღვრის სიახლოვეს. 9 მარტს რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიოლოგიური, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის სარდლობის მეთაურმა, გენერალმა იგორ კირილმა (Карасени, 2022) ბრიფინგი გამართა, სადაც ანალოგიური ინფორმაცია გაავრცელა. საგულისხმოა, რომ მსგავსი ბრიფინგი გენერალმა კირილოვმა გამართა 2023 წლის დეკემბერსა (TACC, 2023) და 2024 წლის ივნისში (Новости ВПК, 2024).

16 მარტს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადმილერ პუტინმა განაცხადა (РБК, 2022), რომ აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ზედამხედველობის ქვეშ უკრაინის ტერიტორიაზე არსებულ ათობით ლაბორატორიაში მოქმედებდა სამხედრო-ბიოლოგიური პროგრამები, რომლებიც მოიცავდა ექსპერიმენტებს მსოფლიოში გავრცელებულ სხვადასხვა ვირუსებთან დაკავშირებით, მათ შორის კორონავირუსზე და აფრიკულ „ღორის გრიპზე“. პუტინის თქმით, ამჟამად უკრაინა და აშშ ცდილობენ გააქრონ ამ უკანონო საქმიანობის კვალი.

4 აპრილს რუსეთის სახელმწიფო დუმამ დაიწყო საპარლამენტო გამოძიება უკრაინაში ბიოლოგიურ ლაბორატორიებთან დაკავშირებით აშშ-ის საქმიანობის შესახებ. 2023 წლის აპრილში საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა საგამოძიებო კომისიის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც ამტკიცებდა, რომ წლების განმავლობაში აშშ კიევის რეჟიმის მხარდაჭერით ახორციელებდა ექსპერიმენტებს უკრაინის მოქალაქეებზე და რომ აღნიშნული საქმიანობა უკრაინის სუვერენიტეტის განადგურებისკენ მიმართული დიდი სტრატეგიის ნაწილი იყო (Lenta, 2023).

3 პათოგენები ეწოდება მიკროორგანიზმებს, რომლებიც იწვევენ ინფექციურ დაავადებებს

აღსანიშნავია, რომ რუსული დეზინფორმაცია ამჯერად გავრცელდა არა მხოლოდ რუსეთში არსებული სამთავრობო და რეგიონის ქვეყნებში კრემლთან დაკავშირებული მედიასაშუალებების მიერ, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. მაგალითად, აშშ-ის ბიოლოგიურ ლაბორატორიებს უკრაინაში გადაცემა მიუძღვნა Fox News-ის წამყვანმა ტაკერ ქერლსონმა (Chappell & Yousef, 2022), რომელიც ხშირად შემჩნეულია რუსული დეზინფორმაციული ნარატივის გავრცელებაში.

საქართველოს მსგავსად, აშშ-ის ბიოლაბორატორიებთან დაკავშირებით რუსული დეზინფორმაციის გავრცელებაში საკუთარი წვლილი ჩინურმა მხარემაც შეიტანა. მას შემდეგ, რაც ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა, ჩაო ლიციანმა ანალოგიური ბრალდებები გააჟღერა ამერიკული მხარის მისამართით, ჩინეთის სამთავრობო მედიაში დეზინფორმაციული ნარატივი ელვის სისწრაფით გავრცელდა (Washington Post, 2023). მეტიც, ჩინურ სოციალურ ქსელ Weibo-ზე ამ ინფორმაციას 210 მილიონზე მეტი ნახვა ჰქონდა.

ბიოლოგიური იარაღის გავრცელების შესახებ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ დეზინფორმაციულ კამპანიაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსეთმა აქტიურად გამოიყენა საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმები. 2022 წლის მარტი-სექტემბერის პერიოდში, რუსეთის მოთხოვნით, ამ თემაზე რამდენჯერმე იქნა მოწვეული გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც რუსეთს მიეცა საშუალება, რომ ოფიციალურ დონეზე გაევრცელებინა დეზინფორმაციული ნარატივები.

სირია

საქართველოსა და უკრაინისგან განსხვავებით, სადაც დეზინფორმაციის გავრცელება ხდებოდა ბიოლოგიური იარაღის კონტექსტში, სირიის შემთხვევაში რუსეთი დეზინფორმაციას აწარმოებდა ქიმიური იარაღის საკითხის ირგვლივ. გარდა ამისა, სირიის მაგალითი იმითაც არის განსხვავებული, რომ თუ საქართველოსა და უკრაინაში რუსეთი საკუთარი უწყებების განცხადებასა და მედიასაშუალებებს ეყრდნობა და საერთაშორისო მექანიზმებს დამატებით ელემენტად იყენებს, სირიის შემთხვევაში ეს პირიქით მოხდა - რუსეთის დეზინფორმაცია ძირითადად წარმოებდა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში და, გარკვეულ შემთხვევებში, მათი საქმიანობის დისკრედიტაციასაც ემსახურებოდა.

რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითს, 2013 წლიდან სირიის მთავრობა შემჩნეული იყო ქიმიური იარაღის გამოყენების რამდენიმე შემთხვევაში. აღნიშნულ ინციდენტებთან გასამკლავებლად, 2013 წელს, შეიქმნა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციისა (OPCW) და გაეროს ერთობლივი მისია (OPCW, n.d.), რომელიც მიზნად ისახავდა სირიის არსენალში მყოფი ქიმიური იარაღის სრულ განადგურებას. აღსანიშნავია, რომ რუსეთი ამ გადაწყვეტილების მხარდამჭერი იყო. მოგვიანებით, 2015 წელს, გაეროს უშიშროების საბჭომ დაარსა OPCW-სა და გაეროს ერთობლივი საგამოძიებო მექანიზმი (Joint Investigation Mechanism - JIM), რომელიც მიზნად ისახავს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებაზე პასუხისმგებელი ჯგუფებისა და პირების იდენტიფიცირებას (UNSC Resolution 2235, 2015). 2017 წლის ოქტომბერს JIM-მა დაასკვნა, რომ 2014-2015 წლებში სირიის მთავრობამ გამოიყენა ქიმიური იარაღი, ასევე 2017 წლის 4 აპრილს, სირიის ქალაქ ხან-შაიხუნში განხორციელებული შეტევისას, გამოიყენა ზარინის გაზი (OPCW, 2017). დასკვნის გამოქვეყნების დღეს სირიის მთავრობასთან დაკავშირებულ მედიასაშუალებაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხან-შაიხუნში განხორციელებული შეტევა იყო დადგმული (Global Engagement Center, 2022) და მიზნად ისახავდა სირიის მთავრობის დისკრედიტაციას. დეზინფორმაციული ნარატივი მალევე აიტაცეს რუსულმა მედიასაშუალებებმა და მათთან დაკავშირებულმა ჯგუფებმა. აღნიშნულს დაემატა პრეზიდენტ პუტინისა და რუსეთის ოფიციალური უწყებების განცხადებები, რომლებიც შეტევის ინსცენირებაში დასავლეთს ადანაშაულებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ თავად სირიის არმიამ გაანადგურა მოწინააღმდეგის ქიმიური არსენალი (Meduza, 2017) ამ პერიოდში რუსეთი აქტიურად იყენებდა საერთაშორისო მექანიზმებს - უმეტესად გაერო და OPCW - როგორც საკუთარი ნარავიტების გავრცელების ფართო აუდიტორიას (Global Engagement Center, 2022). რუსეთის ოფიციალური პირების მხრიდან ხშირად ისმოდა OPCW-ს, როგორც უმოქმედო და მიკერძოებული ორგანიზაციის კრიტიკა. რუსეთი ეჭქვეშ აყენებდა JIM-ის ფუნქციონირებასაც და ღიად იცავდა სირიის მთავრობას.

რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის ძირითადი ამოცანები

მასობრივი იარაღის კონტექსტში რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის კამპანიები ემსახურება სამი ძირითადი მიზნის მიღწევას:

1. უნდობლობის გაჩენა დასავლური ინსტიტუტებისა და მათი საქმიანობის მიმართ;
2. საკუთარი იმიჯის განმტკიცება საერთაშორისო ასპარეზზე;
3. საკუთარი ქმედებების გამართლება ან ყურადღების გადატანა მის მიერ განხორციელებული აქტივობებიდან.

საქართველოს წინააღმდეგ ბიოლოგიური იარაღის კონტექსტში განხორციელებული დეზინფორმაცია დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაციის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს. აქ რუსეთი მიზნად ისახავს აშშ-საქართველოს შორის სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის ნეგატიურად წარმოჩენას. ამ გზით ის ცდილობს ქართულ საზოგადოებაში გამოიწვიოს უნდობლობა აშშ-ის მიმართ და ძირი გამოუთხაროს მის საქმიანობას საქართველოში, რაც პირდაპირპროპორციულად დაკავშირებულია ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერასთან.

გარდა ამისა, დეზინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა პერიოდში, რუსეთი საქართველოს მაგალითს იყენებდა საკუთარი ქმედებების გადასაფარად. მაგალითად, ლეიტენბერგი მიიჩნევს (Leitenberg, 2021), რომ 2017-2018 წლებში ბიოლოგიური იარაღის კონტექსტში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული დეზინფორმაციის კამპანიის ინტენსივობა განაპირობა რუსეთის მცდელობამ, ყურადღება გადაეტანა საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოში იმ პერიოდში მიმდინარე სამი ძირითადი მოვლენიდან:

1. სალისბურის ინციდენტი - დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის დაზვერვის ყოფილი ოფიცრის მკვლელობის მცდელობა ნოვიჩოკის ტიპის ქიმიური იარაღით;
2. 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის შესაძლო ჩარევასთან დაკავშირებით მიმდინარე რობერტ მაღერის საგამოძიებო პროცესი;
3. სირიის მთავრობის მიერ ხან-შაიხუნში ქიმიური იარაღის გამოყენება.

უკრაინის შემთხვევაში, რუსეთის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ფართომასშტაბიანი ომის წარმოების გამართვება, როგორც შიდა აუდიტორიაში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. უკრაინის ტერიტორიაზე ბიოლოგიური იარაღის დამზადებაში აშშ-სა და უკრაინის დადანაშაულება რუსეთის ზოგადი დეზინფორმაციული კამპანიის განუყოფელი ნაწილია. რუსეთი ცდილობს ომის დაწყება გაამართლოს იმით, რომ თითქოს უკრაინის ხელისუფლება არის არალეგიტიმური, ნეოფაშისტური ჯგუფი, რომელიც პირდაპირ იმართება დასავლეთიდან, კერძოდ კი აშშ-დან. ამ თეორიის გასამყარებლად მას სჭირდება ძლიერი არგუმენტები და ბიოლოგიური იარაღის დამზადებისა და უკრაინის მოქალაქეებზე ექსპერიმენტების ჩატარების ნარატივი შესანიშნავად ემსახურება ამ მიზანს. ამასთან, ომის დაწყების პასუხად, დასავლეთის მიერ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ შეზღუდვების დაწესება რუსეთს საერთაშორისო იზოლაციის საფრთხის წინაშე აყენებს. სწორედ ამიტომ, ის აქტიურად ცდილობს გამოიყენოს საერთაშორისო ფორმატები აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის მოწყვლადი ქვეყნების მხარდაჭერის მოსაპოვებლად. აღსანიშნავია, რომ ამავე მიზნით, ამ რეგიონებში რუსეთის დეზინფორმაციული კამპანია განსაკუთრებით გააქტიურებულია უკრაინაში ომის დაწყებიდან.

რაც შეეხება სირიის მაგალითს, აქ რუსეთის მხრიდან ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით დეზინფორმაციის გავრცელება ემსახურებოდა საკუთარი პოზიციის გამყარების მცდელობას. ცნობილია, რომ 2015 წლიდან რუსეთი პირდაპირ ერთვება სირიის სამოქალაქო ომში. აღნიშნულ პროცესში მას სჭირდებოდა სირიის მთავრობის მხარდაჭერა. შესაბამისად, რუსეთმა კარგად გამოიყენა დეზინფორმაციის ნაცადი ხერხები, როგორც ფაქტების დამახინჯებისა და მედიასაშუალებების მანიპულირების გზით, ასევე საერთაშორისო მექანიზმების ფარგლებში დასავლეთისა და დასავლური ინსტიტუტების წინააღმდეგ.

რეკომენდაციები

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შესახებ რუსეთის მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან გასამკლავებლად აშშ-ს, საქართველოსა და უკრაინის მთავრობები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, მუდმივად აკეთებენ შესაბამის განცხადებებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს ფაქტების სწორად წარმოჩენა და რუსეთის დადანაშაულება არასწორი ინფორმაციის გავრცელებასა და მანიპულაციაში. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობაზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან არ არსებობს მიდგომა ან სტრატეგია, რომელიც ამ კონტექსტში გავრცელებულ დეზინფორმაციას ისეთივე მნიშვნელობას მიანიჭებს, როგორც უშუალოდ ქბრბ გავრცელების საკითხს. ამ დროისთვის ერთადერთი ფორმატი, რომელიც მუშაობს ამ საკითხზე, არის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ დიდი შვიდეულის გლობალური პარტნიორობის ინიციატივის (G7-led Global Partnership Against the Spread of Weapons and Materials of Mass Destruction) ფარგლებში ჩამოყალიბებული მასობრივი განადგურების იარაღის კონტექსტში დეზინფორმაციასთან ბრძოლის ინიციატივა[4] (Countering WMD Disinformation Initiative), რომელიც ჩამოყალიბდა 2023 წლის დეკემბერში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შესაბამისი ზომები გატარდეს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

4 აღსანიშნავია, რომ ჯგუფი შეიქმნა კანადის ინიციატივით და მასში საქართველო და უკრაინა მონაწილეობენ კანადის, ევროკავშირის, გერმანიის, იტალიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის წარმომადგენლებთან ერთად.

სახელმწიფოებმა, რომლებიც წარმოადგნენ რუსეთის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის კონტექსტში გავრცელებული დეზინფორმაციის ძირითად სამიზნეს, ეროვნულ დონეზე უნდა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

1. მასობრივი განადგურების იარაღის კონტექსტში გავრცელებული დეზინფორმაციის ეროვნული დონის საფრთხედ აღიარება;
2. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ამ ტიპის დეზინფრომაციის გავრცელებაში ჩართული პირებისა და ჯგუფების პასუხისგებაში მიცემას;
3. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, მათ შორის სამართალდაცვით ორგანოებს შორის და სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის კუთხით;
4. ინფორმაციული მედეგობის გაძლიერება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით;
5. სტრატეგიული კომუნიკაციების ეროვნულ სტრატეგიაში ამ ტიპის დეზინფორმაციის გათვალისწინება;
6. დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერა და აღნიშნულ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

საერთაშორისო და რეგიონულმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით მათ, რომლებიც მასობრივი იარაღის გავრცელებლობის შესახებ მუშაობენ, უნდა შეიმუშაონ შესაბამისი სტრატეგია და მიდგომა, რომელიც აღიარებს ამ მიმართულებით გავრცელებულ დეზინფორმაციას უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევად. ასეთი ხედვა გამოიწვევს საერთაშორისო დონეზე ქბრბ დეზინფორმაციასთან ბრძოლის კუთხით ეფექტიანი პოლიტიკისა და გასატარებელი აქტივობების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა კოორდინირებულ მოქმედებას აღნიშნულ საფრთხესთან გამკლავების თვალსაზრისით.

დასკვნა

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების კონტექსტში რუსეთის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია წარმოადგენს კომპლექსურ საკითხს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებულ რუსეთის ზოგადი უსაფრთხოებისა და სხვადასხვა რეგიონებში გავლენის სფეროების შენარჩუნებისა თუ დამყარების სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს.

ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გავრცელების კონტექსტში რუსეთის მიერ საქართველოში, უკრაინასა და სირიაში განხორციელებული დეზინფორმაცია ბოლო წლებში ამ მიმართულებით გატარებული პოლიტიკის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ დეზინფორმაციული ნარატივების შექმნით, გამოგონილი ისტორიების გავრცელებითა და ფაქტების მანიპულირებით რუსეთი ცდილობს, ძირი გამოუთხაროს დასავლურ ინსტიტუტებსა და მათ საქმიანობას მსოფლიოში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

ამ მიმართულებით რუსეთის მძლავრი გლობალური აქტივობა მოითხოვს ეფექტიანი ინსტიტუციური მიდგომისა და სტრატეგიული ხედვის შემუშავებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ბიბლიოგრაფია

შსს. (2020, 3 სექტემბერი). საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება. https://police.ge/ge/saqartvelos-shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/13926?print=1

Balmforth, Tom. (2016, February 16). Former Russian Health Chief Suggests U.S. Plotting Zika Attack. Radio Free Europe. https://www.rferl.org/a/former-russian-health-chief-suggests-us-plotting-zika-attack/27555365.html

Chappell Bill & Yousef Odette. (2022, March 25). How the false Russian biolab story came to circulate among the U.S. far right. NPR. https://www.npr.org/2022/03/25/1087910880/biological-weapons-far-right-russia-ukraine

Civil Georgia. (2012, April 9). Head of RosPotrebNadzor Accuses Georgia of 'Sabotaging' Russia with Swine Fever. https://civil.ge/archives/186295

Civil Georgia. (2013, July 20). Russian Official Warns Georgia over U.S.-Funded Bio Lab. https://civil.ge/archives/122154

Gaytandzhieva, Dilyana. (2020, September 6). New data leak from the Pentagon biolaboratory in Georgia. Arms Watch. https://armswatch.com/new-data-leak-from-the-pentagon-biolaboratory-in-georgia/

Global Engagement Center. (2022, May). The Kremlin's Chemical Weapons Disinformation Campaigns. U.S. Department of State. https://www.state.gov/wp-content/uploads/2022/05/The-Kremlins-Chemical-Weapons-Disinformation-Campaigns_edit.pdf

Leitenberg, Milton. (2021). False allegations of biological-weapons from Putin's Russia. Nonproliferation Review. 27 (4-6). https://doi.org/10.1080/10736700.2021.1964755

Lenta. (2023, April 11). Госдума утвердила доклад по биолабораториям США на Украине. https://lenta.ru/news/2023/04/11/biolab/

Makszimov, Vlad. (2020, May 29). Georgia targeted by fake stories of US secret labs spreading COVID-19. Euractiv. https://www.euractiv.com/section/disinformation/news/georgia-targeted-by-fake-stories-of-us-secret-labs-spreading-covid-19/

Meduza. (2017, April 20). Химическая атака в Идлибе: как Россия пытается доказать, что войска Асада не применяли зарин. https://meduza.io/feature/2017/04/20/himicheskaya-ataka-v-idlibe-kak-rossiya-pytaetsya-dokazat-chto-voyska-asada-ne-primenyali-zarin

OPCW. (2017, June 30). OPCW Fact-Finding Mission Confirms Use of Chemical Weapons in Khan Shaykhun on 4 April 2017. https://www.opcw.org/media-centre/news/2017/06/opcw-fact-finding-mission-confirms-use-chemical-weapons-khan-shaykhun-4

OPCW. (n.d.). OPCW-UN Joint Mission. https://opcw.unmissions.org/mandate-and-timelines

Sudakov, Dmitry. (2009, May 14). World Stands on the Brink of Biological War. Pravda. https://english.pravda.ru/world/107555-biological_war/

UNSC Resolution 2235 (2015)

VOA News. (2017, October 31). Is a Secret US Lab in Georgia Spreading Deadly Pathogens against Russian Interests? https://www.voanews.com/a/is-a-secret-us-lab-in-georgia-spreading-deadly-pathogens/6741681.html

Washington Post. (2023, March 29). How Russia turned America's helping hand to Ukraine into a vast lie. https://www.washingtonpost.com/opinions/2023/03/29/russia-disinformation-ukraine-bio-labs/

Карасени, Кирилл. (2022, March 10). Российские военные утверждают, что нашли в Украине химические лаборатории. Nokta. https://nokta.md/rossijskie-voennye-utverzhdajut-chto-nashli-v-ukraine-himicheskie-laboratorii/

Новости ВПК. (2024, June 27). Генерал-лейтенант Игорь Кириллов провел брифинг по военно-биологической деятельности США и Украины. https://vpk.name/news/881611_general-leitenant_igor_kirillov_provel_brifing_po_voenno-biologicheskoi_deyatelnosti_ssha_i_ukrainy.html

Петров, Иван. (2018, September 11). Гиоргадзе: США причастны к испытаниям биологического оружия на людях. Российская газета. https://rg.ru/2018/09/11/giorgadze-ssha-prichastny-k-ispytaniiam-biologicheskogo-oruzhiia-na-liudiah.html

РБК. (2022, March 16). Путин обвинил Украину в разработке биологического оружия у границы России. https://www.rbc.ru/politics/16/03/2022/6231eb4b9a79477271a42619?from=article_body

РИА Новости. (2020, September 2). Депутат напомнил о лабораториях по изготовлению "Новичка" в Грузии и США. https://ria.ru/20200902/novichok-1576642485.html?chat_room_id=1576642485

Соболь, Роман. (2018, September 11). Грузинский экс-министр заявил о гибели десятков пациентов американской лаборатории под Тбилиси. НТВ. https://www.ntv.ru/video/1637121/?fbclid=IwAR0hBekDqEoWQ3Nci_pmApfPtSMO_hJIX_PQIW8ve1LgcwdJXahjWuaNHEE

ТАСС. (2020, April 17). Захарова: в биолабораториях США за рубежом могут вестись разработки опасных патогенов. https://tass.ru/politika/8271429

ТАСС. (2023, December 11). МО РФ обнаружило новые свидетельства опасной деятельности лабораторий США на Украине. https://tass.ru/armiya-i-opk/19507361